

სახუმარო ვერბალური ბრძოლები ქართველი ბიჭების ჯგუფში

მირანდა გობიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. საკითხის აქტუალობა

ახა ლგაზრდების ენის ლინგვისტური კვლევა სოციოლინგვისტიკის საგანია, რომელიც, თავის მხრივ, ენის გამოყენების სოციალურ და კულტურულ წინაპირობებს იკვლევს. თავდაპირველად, სოციოლინგვისტიკა დაინტერესდა ახალგაზრდების ენის ლექსიკურ-ლექსიკოგრაფიული საკითხებით და მისი პრაგმალინგვისტიკური ასპექტებით, როგორცაა, მაგალითად, მისალმების ფორმები, საუბრის მხარდამჭერი რეაქციები, შორისდებულები და ა.შ. მალევე მოხდა სოციოლინგვისტიკის დაინტერესება ახალგაზრდების სიტყვათა მნიშვნელობებით და ახალი სიტყვების წარმოებით. სოციოლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველების სტილის ელემენტების კვლევა ახალი ტენდენციაა [ნოილანდი 2008:23].

ახალგაზრდების ენის ლინგვისტურ კვლევას გერმანიაში ოცდაათწლიანი ისტორია აქვს. საქართველოში ახალგაზრდების საკომუნიკაციო აქტივობების გენდერულ ჭრილში განხილვა და ანალიზი ჯერ კიდევ თავისი განვითარების საწყის ეტაპზეა. სტატიის თეორიულ ნაწილში ვეყრდნობით გერმანულენოვან კვლევებს¹, პრაქტიკული ნაწილი კი მთლიანად წარმოადგენს ჩვენ მიერ ჩაწერილ ქართულ ემპირიულ მასალას. სტატია მოკლედ მიმოიხილავს ბიჭების მეტყველების პრაგმალინგვისტიკურ და სტილისტიკურ თავისებურებებს, ახალგაზრდების მეტყველების კვლევის პერსპექტივებს სოციოლინგვისტიკაში და ბიჭებში საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პრობლემებს.

ბიჭების საუბრის სტილი და ჟანრები ბევრ სხვადასხვა ენებსა და კულტურაშია გამოკვლეული², სამწუხაროდ, ქართულ სივრცეში, რამ-

1 გერმანელი ავტორები: ანდროუცოპულოსი 1997, შლობინსკი 1993, ნოილანდი 2003, 2006, 2008, ბრანერი 2003, შმიდტი 2004, კოტჰოფი 2003, 2005, 2008, გიუნთერი 1996, შპრეკელი 2006 და ა.შ.

2 ჰერმან ტერტილიტი "Türkisch Power Boys" [1996] იკვლევს თურქი ახალგაზრდების

დენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მიმართულებით, რაიმე ფუნდამენტური კვლევა არ მოიპოვება. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიჭების ენა მიჩნეულია როგორც კომპეტიტიური, და ამავდროულად, არასერიოზული საუბრის სტილი. მოცემული კვლევის მიზანია, გაანალიზდეს ქართველი ბიჭების არასერიოზული მოდალობის საკომუნიკაციო აქტივობები.

ვერბალური ბრძოლა ჯგუფის შიგნით პოზიციონირებას ემსახურება. პოზიციონირება დისკურსული პრაქტიკაა, რომლის საშუალებითაც ადამიანები საკუთარი თავისა და სხვების წარმოჩენას ახერხებენ, პასუხს პოულობენ იდენტობის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან კითხვებზე: ვინ ვარ მე? როგორი მინდა ვიყო? პოზიციონირება ფოკუსირებას ახდენს იმ ენობრივ ქმედებათა ასპექტებზე, რომლის საშუალებითაც მოსაუბრე საკუთარ თავს სოციალურ პიროვნებად ქმნის, რომელსაც გარკვეული სოციალური პოზიცია უკავია გარკვეულ სოციალურ წრეში [დეპერმან/ლუციუს-ჰონესი 2004, 168].

ახალგაზრდების ვერბალური დუელის კვლევის მაგალითებს უხვად ვხვდებით სხვადასხვა კულტურებში. მაგალითად, დუნდესი, ლიჩი და ოცკაკი [1972] ინტერესდებიან ვერბალური დუელით თურქ ახალგაზრდებში, ტერტილტი დაინტერესებულია გერმანიაში მცხოვრები თურქი ახალგაზრდების სალანძღავი რიტუალებით [1996], გოსენი [1976] აანალიზებს ანდეს მკვიდრი ახალგაზრდების საკომუნიკაციო დუელებს. ლაბოვი [1978] ანგლოამერიკელი ახალგაზრდების საკომუნიკაციო ქცევებს იკვლევს და ასკვნის, რომ ვერბალური დუელი დამოკიდებულია ენობრივ კრეატიულობაზე და ამ საკომუნიკაციო რიტუალის ჩასატარებლად კულტურის მიხედვით სხვადასხვა წესები არსებობს. ჩვენი მიზანია გიჩვენოთ, როგორ მიმდინარეობს ვერბალური დუელი ქართველ ახალგაზრდებში.

1.2. ახალგაზრდების ენის დეფინიციისათვის

ახალგაზრდების ენა ახალგაზრდების ჯგუფში იქმნება და თავისებურ საკომუნიკაციო კულტურას ქმნის. ჯგუფის საკომუნიკაციო პროფილი, ჯგუფის ინდენტობის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა.

ლინგვისტიკაში ახალგაზრდების ენა სასუბრო ენის ვარიანტული სხვაობაა, თავისებური სუბკულტურული ენობრივი სტილია. ახალგაზრდების ენას ენათმეცნიერთა უმეტესობა განიხილავს როგორც სპეციფიკურ ფენომენს, დამოკიდებულს სიტუაციურ კონტექსტზე [შლობინსკი: 1989,6]. თუ ახალგაზრდულ ასაკს ინდივიდის განვითარებაში სპეციფიკურ გარდამავალ ფაზად ჩავთვლით, ამ შემთხვევაში

ჯგუფის ეთნოგრაფიას და სოციალურ ფსიქოლოგიას

ახალგაზრდების ენა ქმნის დიალექტისა და სოციოლექტის ვარიანტს.

სოციოლინგვისტიკური გაგებით ახალგაზრდობა წარმოადგენს ენობრივი სოციალიზაციის იმ ფაზას, სადაც ხდება საზოგადოების სტრუქტურებში თავის დამკვიდრების პროცესი. ამ ფაზის ფუნქციაა კულტურული კაპიტალის ინდივიდუალური შეთვისება, შესაბამისად, სოციოლინგვისტიკურ კვლევებში წინა პლანზე გამოდის სოციალური როლის, სოციალური სქესისა და ასაკის ურთიერთდამოკიდებულება ენასთან.

პირ-ჯგუფში გააქტიურებულია ერთიანობის „ჩვენ“ გრძნობა, რასაც ბიჭები განსაკუთრებული ენობრივი საშუალებებით გამოხატავენ. ახალგაზრდები ცდილობენ თავიანთი ჯგუფისთვის მისაღები სემანტიკური და გრამატიკული საშუალებებით შექმნან განსაკუთრებული ენა, რითაც შეძლებენ, გარკვეულწილად, სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებას. სწორედ ეს არის ახალგაზრდების ენა, ნორმირებული ენის ის ვარიანტული ფორმა, რომელიც სოციოლინგვისტიკური კვლევის საგანია. ნოილანდის მიხედვით, დღეს ახალგაზრდების ენა განისაზღვრება როგორც ახალგაზრდების მიერ გარკვეულ სიტუაციაში გამოყენებული ჯგუფური კომუნიკაციის მედიუმი. ამ ენას ახასიათებს ყოველდღიური სასაუბრო ენის, ჯგუფის ენისა და ინტერაქციის არსებითი ნიშნები [ნოილანდი: 2008, 45].

2. თეორიული საფუძვლები

კომუნიკაციის ეთნოგრაფიულ ხასიათს განაპირობებს ის, თუ რა მოდალობით მიმდინარეობს საუბარი. შპრეკელსი განიხილავს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს³ და ასკვნის, რომ ინტერაქციული მოდალობა მეთოდია, რომლის საშუალებითაც ენობრივ გამოხატულებებს, ენობრივ ქცევებს, გარკვეულ სიტუაციებს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ინტერაქციული მოდალობა შესაძლებელია იყოს სერიოზული, პათეტიკური, აგრესიული, ჰქონდეს თამაშის ან ხუმრობის ხასიათი ანუ იყოს არასერიოზული და ა.შ. ინტერაქციული მოდალობა განპირობებულია არა ცალკეული მოსაუბრით, არამედ ინტერაქტანტებით. ინტერაქციულ მოდალობას დიდი ზეგავლენა აქვს საუბრის აქტზე. იგი მოსაუბრის პერსპექტივას გამოხატავს. საუბრისას მოდალობის ცვლა დამოკიდებულია მოსაუბრესა და მის პარტნიორზე, პარტნიორი ან უბამს მხარს ცვლილებას, ან არა. შესაბამისად, ხდება მოდალობის ან განვითარება, ან შეწყვეტა. ახალგაზრდებს ჩვევიათ გაერთონ, იხუმრონ [შპრეკელსი 2006, 88-89]. ბიჭების საუბრების 90% არასერიოზული მოდალობისაა [ბირბახი 1996: 262].

3 კალმაიაერი [1979], ჰუმესი [1974], დეპერმანი/შმიდტი [2001]

ბიჭების საუბრის სტილი ენათმეცნიერებაში კონფრონტატიულად ითვლება [ვაითი 2002:166]. ბრანერის მიხედვით⁴ ბიჭების ჯგუფს იერარქიული სტრუქტურა აქვს. ეს იერარქია ენაში აისახება და ენის საშუალებით გამოიხატება. ჯგუფში მოპოვებული და განმტკიცებული დომინანტური პოზიცია ენობრივი საშუალებებით ნარჩუნდება. დომინანტური პოზიციისათვის ბრძოლა, უმეტეს შემთხვევაში, ვერბალურია [ბრანერი 2003:45-49]. ბიჭების ენობრივ ქცევებში გამოიყოფა შემდეგი ელემენტი: ბიჭებისათვის ენა დომინანტური პოზიციის განმტკიცების საშუალებაა; ენის საშუალებით ისინი კამათობენ სხვისი პოზიციის მართებულობაზე – ვერბალური მუქარით, ლანძღვა-გინებით, დაცინვით. ამ ქმედებებს, უმეტეს შემთხვევაში, ვერბალურ დუელამდე მივყავართ, რომლის მიზანი „ბოლო სიტყვის“ მოპოვებაა. ბიჭები ენობრივი საშუალებებით ცდილობენ მიიპყრონ ყურადღება, დააფიქსირონ საკუთარი აზრი და დაიკავონ დომინანტური პოზიცია. პირ-ჯგუფში ისინი მიჩვეულნი არიან სიტყვის გაწყვეტას, იციან როგორ გაუმკლავდნენ საუბრის ხელისშემშლელ ფაქტორებს და სათქმელი ბოლომდე თქვან. ისინი, როგორც წესი, დისკუსიებში სიტყვის გაწყვეტის შემდეგაც კარგად ახერხებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას და ფრაზის დასრულებას. ბიჭების კომუნიკაციის ცენტრალური ჟანრებია: ტრაბახი, ქილიკი, დაცინვა, აგდება, გაცურება, ისტორიების მოყოლა, პერფორმანსი, სახუმარო კონფლიქტები, სერიოზული კონფლიქტები, რიტუალური ლანძღვა.

3. ქართული კვლევის კორპუსი

ნაშრომის კორპუსს შეადგენს 2008-2012 წლებში ჩვენ მიერ გაკეთებული ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების (12-18 წლის) დისკურსის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ტრანსკრიპტებს⁵. ჩანაწერთა ტრანსკრიპცია შესრულებულია GAT-ის მიხედვით (GrSprächsanalytische Transkription) [ზელტინგი 1998:91]⁶.

არასერიოზული საკომუნიკაციო აქტივობები სტატიაში წარმოდგენილია 4 დიალოგის სახით.

4 ბრანერი ეყრდნობა სხვადასხვა კვლევას, მაგ. მალც/ბორკერი[1991], ზაკსი [1974], გუდვინი [1991], [1980], შელდონი [1992], ლეაპერი [1991], ტურნე/ლურია[1986], ფინე [1987], ედერი [1990]

5 ჩანაწერების საერთო რაოდენობა 100 საათზე მეტია.

6 ტრანსკრიფცია შესრულებულია საუბრის ანალიზური ტრანსკრიფციული სისტემის მიხედვით (GAT) [ზელტინგი 1998: 91]. GAT-ის მიხედვით ქართული საუბრების ტრანსკრიპირება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველი მცდელობაა ქართულენოვან სინამდვილეში, მისი პრინციპები მისაღებაა ქართული ენისთვის, თუმც იყო პრობლემებიც, მაგ. ფოკუსირებული აქცენტების აღნიშვნის დროს. ტრანსკრიპციული ნიშნების ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.

4. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ საუბრის ეთნოლინგვისტური ანალიზი. შენარჩუნებულია ენობრივი და სოციალური ინტერაქციის კვლევის ეთნოგრაფიული ტრადიციები [ნომან-ბრაუნი/დეპერმანი 1998]. როცა საქმე ეხება ჯგუფისთვის სპეციფიკური საუბრების ანალიზს, ჯგუფის შესახებ ეთნოგრაფიული ცოდნა გვიადვილებს:

გავარკოთ რამდენი მონაწილეა ინტერაქციის დროს, განვასხვავოთ ისინი ხმის მიხედვით, დავადგინოთ ნათქვამის მოდალობა, ქვეტექსტი;

გვკონდეს სპეციფიკური ცოდნა პიროვნებების, ადგილის, მოვლენების შესახებ;

ნათელი იყოს ჯგუფისთვის სპეციფიკური ლექსიკა და სემანტიკა [დეპერმანი 2000:108-109];

ანალიზი ეფუძნება ხელთარსებულ ემპირიულ მასალას. ემპირიული მასალის ანალიზისათვის გავაერთიანეთ სამი მეთოდი:

1) შინაარსობრივი მეთოდი – რა აქტივობები და ენობრივი ქცევებია შინაარსობრივად აღწერილი;

2) საუბრის სოციოლინგვისტიკური ინტერპრეტაცია – კომუნიკაციური პროცესის ანალიზი, ჯგუფის კონცეპტების რელევანტურობა, იდეოლოგია, და ა.შ.

3) პოზიციების განმტკიცების ანალიზი – წარმატების ფაქტორები ჯგუფში, რის გამო და რისი საშუალებით ხდება ბიჭების პოზიციების ჯგუფში გამყარება.

5. სახუმარო კომპეტიტიური საუბრები ქართველი ბიჭების ჯგუფში

ბიჭების ჯგუფში ძალაუფლების დემონსტრირება ჯგუფის შეგნით პოზიციების დაკავებასა და განმტკიცებას ემსახურება. ქართველი ბიჭების, ისევე როგორც გერმანელი ბიჭების⁷, პოზიციების განმტკიცება ჯგუფში ხდება საკომუნიკაციო ბრძოლით, რომელსაც უმეტესად არასერიოზული მოდალობა აქვს და ემსახურება ჯგუფის იერარქიაში მაღალი პოზიციის დაკავებას. ამ საკომუნიკაციო საშუალებებით ბიჭი გვიჩვენებს, რომ იგი მზადაა ვერბალური თავდასხმისათვის და თავდაცვისათვის, თანაც ისე, რომ ინარჩუნებს არასერიოზულ მოდალობას და ამით არ ღალატობს ჯგუფის ერთიანობის შეგრძნებას. გერმანული მონაცემებით ბიჭების ჯგუფში პოზიციების დაკავებასა და განმტკიცებას ემსახურება შემდეგი საკომუნიკაციო აქტივობები: „დი-

7 დასტურდება შმიდტის კვლევებში [შმიდტი 2004].

სენი“; ქილიკი/დაცინვა, რიტუალური ლანძღვა და აგდება/გაცურება [შმიდტი 2004]. განვიხილოთ ეს საკომუნიკაციო აქტივობები და მათი არსებობის საკითხი ქართველ ბიჭებში.

ინტერაქციაში „დისენს“ უწოდებენ საკომუნიკაციო აქტს, რომლის საშუალებითაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პირად შეურაცხყოფას აყენებენ. იგი ვერბალური აგრესიის ყველაზე ხშირი ფორმაა გერმანელ ბიჭებში. აქ ორი მოწინააღმდეგე თავს ესხმის ერთმანეთს ვერბალურად, ყოველთვის ჰყავთ მაყურებელი და შემფასებელი. გერმანიაში ამ სახის ვერბალურ დუელს საფუძვლად დაედო ამერიკული ჰიპ-ჰოპი: მუსიკის თანხლებით ორი მოწინააღმდეგე გარითმული ფრაზებით ერთმანეთს ებრძვის.

„დისენის“ დროს შეურაცხყოფა პირდაპირი და უხეშია, ხდება ტაბუდადებული ენობრივი გამოთქმების შეუზღუდავი გამოყენება. „დისენი“ სცენაა, აქ არა აქვს მნიშვნელობა სტატუსით განსხვავებას, მონაწილეობს ნებისმიერი, ვინც ენამახვილობით გამოირჩევა. ეს არის შეურაცხმყოფელი სიტყვებით თამაში, რომელსაც თან ახლავს ჰიპ-ჰოპის ან რეპისათვის დამახასიათებელი ყესტები. ვერბალური ბრძოლა სრულდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მონაწილე შეტევაზე აღარ რეაგირებს, ან პირდაპირ აღიარებს მარცხს.

ვერბალური დუელის აღნიშნულ ფორმას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს კავიაობის სახით [კოტკოფი 1995]. „დისენისაგან“ განსხვავებით, აქ ვერბალური ბრძოლა ხდება ვულგარული გარითმული ლექსებით. „დისენსში“ რითმი სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, აქ მთავარია სიტყვებით თამაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს საკომუნიკაციო აქტივობა გაცილებით უფრო პოპულარული და ხშირია გერმანელ ახალგაზრდებში, თუმცა თითქმის ყველა ქართველმა ბიჭმა იცის, თუნდაც მცირე ოდენობით, გარითმული, უხამსი სიტყვებით გაჯერებული ლექსი და, შესაბამისად, შეუძლია კავიაობის რიტუალის ჩატარება.

მოცემული მაგალითი ქართველი ბიჭების კავიაობის ნიმუშია:

მაგალითი 1.

1. G: ეჰ რა დღეში ხარ საქართველო (.)
2. მამულო საყვარელო შენ ოროსლა აყვავდები.
3. H: შენ როსლა აყვავდები შენ? ((მიმართავს G-ს))
4. G: შენ საერთოდ ვინმე თუ გიყვარს?
5. M: მე მაგალითად (-)
6. მე ჩემს მარცვალს ვთესავ ხნულში მოსავალი მინდა წმინდა (-)

7. ქუთაისის სიყვარულში შემეჯიბროს ვისაც უნდა.
8. H: ჩემი ცხოვრება ვალები (-)
9. ღვინო დუდუკი ქალები ჰე ჰე ჰე ((სიმღერით))
10. G: რაც გამყოფებს აქტიურად დედას გტირობს ფაქტიურად
11. H: ატყდა რეკვა, გლეწე რესკად და შეიქმნა სესერეკა=
12. G: =აქეთ ფიცარი იქით ფიცარი ისე გაგლახე ველარ გიცანი (-)
13. H: გარბიან ტაქსები, წერენ სოჩიკები, რა კაია პონჩიკები:
14. G: (h) მკიღია პონჩიკი მამიღა თუ ქალი მამინღა:
15. ((...))

B ამბობს ფრაზას ლექსიდან რასაც მოჰყვება A-ს ირონიული შენიშვნა: შენ როსღა აყვავდები? (სტ.3) B-ს არ ესიამოვნა ეს ირონიული გადახვევა, რადგან ის პატრიოტული პათოსით ყვებოდა ლექსს. B აგრესიულად ეკითხება A-ს: „შენ საერთოდ ვინმე თუ გიყვარს?“ და აგრძელებს ლექსს ქუთაისის სიყვარულზე. A დაგვიანებით, მაგრამ კაფით სცემს პასუხს დასმულ შეკითხვას, უყვარს თუ არა ვინმე (სტ. 8, 9), მისთვის ღვინო, დუდუკი და ქალებია მნიშვნელოვანი. B არ აყოვნებს პასუხს (სტ. 10), იგი თვლის, რომ A-ს ცხოვრების სტილი ერთ დღეს ცუდად დამთვარდება. A-ს პასუხი უკვე მუქარაა, (სტ. 11), A-ს მუქარას B მუქართვე პასუხობს (სტ. 12).

ბიჭებს ჰყავთ მაყურებლები. ისინი არ ერევიან საუბარში, იცინიან და ამით მხარს უჭერენ მათ ვერბალურ პაექრობას. მოცემული მაგალითის ბოლო სტროფში A იწყებს საუბარს, იმის შესახებ, რომ მას ახლა „ქალი უნდა“ (სტ. 14), რის შემდეგაც ბიჭების ვერბალური დუელი გადაიზარდა სკაბრეზულ და არანორმატიული ლექსიკით თამაშში⁸. მსგავსი პაექრობის დროს არც ერთი შეურაცხყოფელი სიტყვა თუ წინადადება საწყენად არ მიიღება, აქ დასაშვებია ოჯახის წევრების შეურაცხყოფაც კი, მაშინ როცა ქართველი ბიჭი დედის ან დის შეურაცხყოფას სერიოზული მოდალობის დროს არავის პატიობს.

შმიდტის მიხედვით, პოზიციების განტკიცების შემდეგი საკომუნიკაციო აქტივობაა აგდება/გაცურება, სადაც მნიშვნელოვანია სიტუაციის სიმეტრიულობა აგდების ინიციატორსა და აგდების მსხვერპლს შორის. თავდამსხმელი კარგად ფლობს სიტუაციას და მსხვერპლს აყენებს სულელურ მდგომარეობაში, ახერხებს მისი არასწორი ქცევის ან რეაქციის პროვოცირებას. თავდამსხმელი, თუკი იგი მოწინააღმდეგის აგდებას ახერხებს, წარმოჩინდება ჯგუფში, როგორც გამარჯვებული, ხოლო მსხვერპლი, როგორც დაცინვის ობიექტი. მსხვერპლი იძულებ-

8 შეგნებულად ავარიდეთ თავი საუბრის მთლიანი ვერსიის ჩვენებას.

ბულია ან თავად გაიცინოს, ამით შექმნას სახუმარო სიტუაცია და არ შეიმჩნიოს რომ შეურაცხყოფილია, ან სამაგიერო გადაუხადოს მოწინააღმდეგეს, რათა დაიცვას საკუთარი პოზიცია ჯგუფში [შმიდტი 2004:267]. ქართველ ბიჭებში პოზიციების მოპოვებისათვის ბრძოლის ეს ვერბალური ფორმა განსაკუთრებით პოპულარულია.

მაგალითი 2.

1. A. ეეე ორი ლარი ბიჯო (.)
2. C. სად [ბიჯო
3. A. [ე ე მაგერ
4. C. ვოოვ ხო (--)
5. ე: ((ცდილობს 1 ლარი მიწიდან აილოს))
6. [ფუ შენი
7. A << ხმამალლა იცინის > [ჰაჰაჰა]
8. C. <h> სირი ↑ ხარ
9. აუ მეთქი სიგარეტი მოვიდა.
10. ((...))

A აწებებს იატაკზე ერთ ლარს და ცდილობს C-ს „აგდებს“ (სტ. 1-4). C გახარებულია, რომ ფული ნახა, რადგან არ ჰქონდა ფული სიგარეტისთვის (სტ. 5, 9). იგი მალევე ხვდება, რომ A-მ „ააგლო“, რადგან ვერ ახერხებს ფულის იატაკიდან აღებას. A იცინის, C-ს რეაქციაც სიცილია, მაგრამ სიცილის დროს იყენებს სალანძღავ სიტყვასაც „სირი“ (სტ. 8) და გინების ელიფსურ ფორმას (სტ. 6), რითაც ადასტურებს, რომ A-მ მისი აგდება მოახერხა. აგდების ამ მაგალითში შესაძლებელია ხუთი სისტემური ნაბიჯის გამოყოფა: 1. სიტუაციის მცოდნე უჩვენებს მსხვერპლს ფულს და უთითებს აილოს ფული (სტ. 1-2); 2. მსხვერპლი ცდილობს შეასრულოს მითითება, აილოს ფული (სტ. 5); 3. მსხვერპლის იმედგაცრუება (სტ. 6: „ფუ შენი“); 4. მსხვერპლის რეაქცია (C-ს კომენტარი სიცილის გამომხატველი ნაწილაკებით: სირი ხარ, მეთქი სიგარეტი მოვიდა (სტ. 8-9); 5. გამარჯვებულის რეაქცია (A იცინის ხმამალლა სტ. 7).

ქართველი ბიჭების ტიპური საკომუნიკაციო აქტივობაა ქილიკი/დაცინვა. გერმანელი ბიჭებისთვისაც იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა თავის წარმოსაჩენად. გიუნთნერის მიხედვით ქილიკი/დაცინვა მორალურ-მგძნობელობითი აქტივობაა, რომელიც პროვოკაციასა და სიამოვნებას, ტკივილსა და ხუმრობას ერთდროულად შეიცავს და მიუხედავად მისი მიდრეკილებისა, იყოს გადაჭარბებული და მანევრული, უმეტესწილად დაცინვის ობიექტის ფაქტიურ ქცევას ეფუძნება [გიუნთნერი 1996:102]. ქილიკი არის სა-

კომუნიკაციო აქტივობა, როცა პიროვნებას ინტერაქციის პროცესში ხუმრობით დასცინიან. უმეტეს შემთხვევაში, ქილიკის დროს, მთელი ჯგუფი ერთ რომელიმე ჯგუფის წევრს უპირისპირდება. ქილიკი შინაარსობრივად შეიძლება იყოს როგორც რეალური, ასევე ფიქტიური [შმიდტი 2004:112]. შემდეგ მაგალითში მონაწილეობას იღებენ გოგონებიც (ბიჭები V,D,E, გოგონები K,L):

მაგალითი 3.

1. L: ამან გამომართვა წიგნი.
2. აუ კაი წიგნი მომეცითო.
3. (h) [და (.) ქალი გამოვიდა საღალატოდ
4. K: [კაი წიგნი მინდაო და ქალი გამოვიდა საღალატოდ
5. L: აუ ეს რა იცი მარიკა
6. დავიწყებ ლაპარაკსა და ამყვები (-)
7. (h) ქალი გამოვიდა საღალატოდ.
8. [ეს წაიკითხა ((იცინის))
9. V: [მაგი არ წამიკითხია.
10. ძაან დიდი იყო და (.) არ წავიკითხე
11. ((ყველა იცინის))
12. [მე მწვანეთვალეა ანგელოზი წავიკითხე=
13. D: [აუ ეს მაგარი თქვა
14. E: =მეც მწვანეთვალეა ანგელოზი წავიკითხე
15. D: მწვანეთვალეა ანგელოზი მთელ საღორიას აქვს წაკითხული.
16. A: აუ ბიჭები კითხულობენ მწვანეთვალეა ანგელოზს=
17. =და გოგონები ჯინსების თაობას.
18. D: ჯინსების ↑ თაობა მაგარია:
19. V: აუ მაგი რამხელაა:
20. D: დიდი როა მიტოა ↑ მაგარი,
21. [ძაან მაგარია=
22. E: [წიგნმა ↑ თუ დამაინტერესა, ვერ ვდგები
23. D: = ჯინსების თაობას გოგონები კითხულობენ კი არა და (.)
24. სამჯერ ↑ მაქ წაკითხული

გოგონები დასცინიან V-ს (13 წლის). მათი აზრით, მან არასწორად შეარჩია და წაიკითხა მისი ასაკისთვის შეუფერებელი ნაწარმოები, ოტია იოსელიანის „ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ“ (სტ. 1-8). V ამბობს, რომ არ წაუკითხავს, რადგან წიგნი ძალიან დიდი იყო (სტ.

9-10), რასაც მოჰყვება ბიჭების დაცინვა, რადგან წიგნი: „დიდი როა მიტოა მაგარი“ (სტ. 20). V ირწმუნება რომ „მწვანეთვალეა ანგელოზი“ წაკითხა (სტ. 12), D ამბობს: მწვანეთვალეა ანგელოზი მთელ სალორიას აქვს წაკითხული, რითაც კვლავ აგრძელებს ქილიკს. ბიჭები E, D დასცინიან V-ს და თან თავს იწონებენ გოგონებთან იმით, რომ წაკითხული აქვთ „მწვანეთვალეა ანგელოზიც“ და „ჯინსების თაობაც“, თანაც არა ერთხელ (სტ. 22-24) და ამით ახდენენ, ისევ და ისევ, ჯგუფში საკუთარი პოზიციების განმტკიცებას.

ლანძღვა-გინება ჩვეულებრივი და მიღებული საკომუნიკაციო ქმედებაა როგორც გერმანელ, ისე ქართველ ბიჭებში. ბიჭების პირჯგუფში ლანძღვა-გინებას, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვს სერიოზული მოდალობა. იგი გამოიყენება გართობის, თამაშის მიზნით. არასერიოზულ ლანძღვა-გინებას სამეცნიერო ლიტერატურაში „რიტუალურ ლანძღვას“ უწოდებენ [შმიდტი 2004:200]. შესაძლებელია, რიტუალურმა ლანძღვამ სერიოზული სახეც მიიღოს. თამაშის ფუნქციით შექმნილი კონფლიქტები ბიჭებს სჭირდებათ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობების საჩვენებლად, ვერბალურ დუელში გამარჯვების მოსაპოვებლად. რიტუალური ლანძღვის დროს ბიჭები იყენებენ სკაბრეზული გინების ფორმას, მაგალითად:⁹

მაგალითი 4.

1. A: მოდი ბიჭო აქ მოდი აქ
2. შენი ... ((იცინის))
3. V: თუ არ მოხვალ
4. ერთი შენი ...
5. A: მოდი ბლიატ
6. V: = ე ვასია ↑
7. A: ჩხირი შენ
8. მოდი სანამ ჩამიძუენიხარ
9. შენი...
10. V: ლილიპუტ ((იცინის))^
11. მოდი სანამ სახე მიგიჟეშტე
12. A: ჩხირი ((იცინის))
13. V: ფუ რა სირი ხარ შე საცოდაო
14. A: (h) სირის ხმა მესმის

მოცემული მაგალითი ბიჭების საუბრის კრეატიულობას ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ იგი რიტუალური ლანძღვის ტიპური მაგალითია. ბიჭები ლანძღავენ და აგინებენ ერთმანეთს ღიად და პირდაპირ, მაგრამ

9 მაგალითში სკაბრეზული გინება მრავალწერტილით აღვნიშნეთ

მაგალითში ვულგარულ გინებას (სტ. 2, 4, 5), აგრეთვე ჰიპებოლიზირებულ მუქარას (სტ. 8, 11) თან სდევს სიცილის გამომხატველი ნაწილაკები (სტ. 2, 10, 12, 14), ამით ბიჭები ინარჩუნებენ არასერიოზულ სახუმარო მოდალობას. A დაბალია და V ამის გამო ლილიპუტს უწოდებს (სტ. 10). A ხაზს უსვამს V-ს სუსტ აღნაგობას და მას ჩხირს ეძახის (სტ. 12). საერთო ჯამში საუბარი ძალიან ვულგარულია, თითქმის ყველა წინადადებას მოჰყვება სკაბრეზული გინება. სერიოზული კონფლიქტების დროს, ისეთი სალანდავი სიტყვა, როგორცაა მაგალითად, „სირი“, ან მიმართვა „ე ვასია“, მნიშვნელობით „შენ არავინ ხარ“, ან „შე საცოდაო“, მით უმეტეს დედის გინება, უმეტესწილად, ხელჩართული ბრძოლით მთავრდება, მაგრამ, როგორც მაგალითი გვიჩვენებს, არასერიოზული მოდალობის რიტუალური ლანძღვის დროს, ეს სალანდავი სიტყვები და გინება, საერთოდ არაა ბიჭებისთვის საწყენი და შეურაცხმყოფელი, მეტიც, ისინი მას გასართობად იყენებენ.

დასკვნა

ჯგუფში პოზიციების განმტკიცების ფუნქციის მქონე საკომუნიკაციო აქტივობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართველი ბიჭების ჯგუფში მაღალი სტატუსის მოპოვება და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი მათი საუბრების მნიშვნელოვანი რესურსია. ვერბალური აქტივობების საშუალებით ძალაუფლების დემონსტრირება, უმეტესად, ლეგიტიმურია და საკუთარი პოზიციების ჩვენებას, თავის საუკეთესოდ წარმოჩენას, გართობას ემსახურება. ჯგუფის იერარქიაში მაღალი სტატუსის მოპოვების ერთ-ერთი გზა სახუმარო კონფლიქტებია. ქართველი ბიჭების ჯგუფში სიტუაციის მიხედვით დომინირებს ხან ერთი, ხან მეორე ჯგუფის წევრი, აქ ერთმანეთის დისკრიმინაცია მხოლოდ ქილიკით ან სხვა სახუმარო აქტივობებითაა დასაშვები. ქართველი ბიჭების ჯგუფში არასერიოზული მოდალობით ვულგარული სიტყვებისა და სკაბრეზული გინების გამოყენება ჯგუფის ერთიანობის შეგქნებას ემსახურება.

ჩვენ მიერ მოპოვებული ქართულენოვანი მასალის კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ ქართველი ბიჭების ჯგუფის კომუნიკაციური სტილი ძალიან ჰგავს იმავე ასაკის, სოციალური გარემოს და სქესის გერმანული ჯგუფის საკომუნიკაციო სტილს. ბიჭების საუბრების ძირითადი პრინციპებია: გართობა, შეჯიბრი. ჭარბობს ქილიკის, არასერიოზული კონფლიქტის, რიტუალური ლანძღვის, გაქირდვის საკომუნიკაციო აქტივობები. ბიჭების ჯგუფის ინტერაქციებისათვის უფრო არასერიოზული მოდალობაა დამახასიათებელი, ვიდრე სერიოზული.

ბიჭების საუბრის სტილი უფრო კონფრონტაციულია (საბრძოლო), ვიდრე კოოპერაციული (პარტნიორული).

ბიჭების საუბრების ძირითადი ფუნქციებია: თავდასხმა, თავდაცვა, შეურაცხყოფა, საკუთარი დომინანტური პოზიციის წარმოჩენა და დაცვა, პოზიციონირება.

ბიჭების ჯგუფში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი იდენტობის პრეზენტაცია, შემოწმება, შეფასება. ქართველი ბიჭების პოზიციების განმტკიცების ხუმრობანარევი საკომუნიკაციო აქტივობები, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, მრავალმხრივი და საინტერესოა. ისინი ემსახურებიან ჯგუფისთვის სპეციფიკური ენობრივი ქცევების ჩამოყალიბებას და უფრო ეფექტურს ხდიან ჯგუფის შიგნით წევრთა პოზიციური მოლაპარაკებების პროცესს. სტატიაში განხილული საკომუნიკაციო აქტივობები: აგდება/გაცურება, დისენი/კაფიაობა, ქილიკი/დაცინვა, რიტუალური ლანძღვა ტიპურია როგორც გერმანელი, ასევე ქართველი ბიჭებისათვის. ისინი ზეგავლენას ახდენენ ახალგაზრდის სოციალიზაციის პროცესზე და ქმნიან ჯგუფისთვის სპეციფიკურ საკომუნიკაციო კულტურას.

დამოწმებანი

- ანდროუცოპულოსი 1997:** Androutsopoulos, Jannis. Mode, Medien und Musik. Jugendsprache als Sprachexperten. In: *Der Deutschunterricht* 6. S. 10-21.
- ბრანერი 2003:** Branner, Rebecca. Scherzkommunikation unter Mädchen. *Angewandte Sprachwissenschaft*. Herausgegeben von Rudlof Hoberg. band 13. Peter Lang, europäischer Verlag der Wissenschaft.
- ბირბახი 1996:** Bierbach, Christine. Chi non gaga un kilo – zahlt 20 Mark Strafe! Witze von Kindern zwischen zwei Kulturen. In *Kotthoff, Helga (Hg): das Gelächter der Geschlechter. Humor und Macht in Gesprächen von Männern und Frauen*. Konstanz: Universitäts-Verlag Konstanz. S. 247-273.
- გიუნთერი 1996:** Günthner, Susanne. Zwischen Scherz und Schmerz – Frotzelaktivitäten in Alltagsinteraktionen. Scherzkommunikation. Hg. Helga Kotthoff. Opladen: Westdeutscher Verlag. S. 81-108.
- გუდვინი 1980:** Goodwin, Marjorie. Directive-response speech sequences in girls' and boy's task activities. In.: S. *Mc Connell-Ginet/R. Borker/N. Furman (eds): Women and Language in Literature and Society*. New York. Praeger
- გუდვინი 1991:** Goodwin, Marjorie. He-Said-She-Said. Talk as social organization among Black Children. Bloomington: Indiana University Press.
- გოსენი 1976:** Gossen, Gary. Verbal Dueling in Chamula. In: *Barbara Kirshenblatt-Gimblett (ed.): Speech Play: Research and Resources for the Study of Linguistic Creativity*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- დეპერმანი/შმიდტი 2001:** Deppermann, A. / Schmidt, A. Hauptsache Spaß. In: *Merkens, Hans/Zinneker, Jürgen (Hg). Jahrbuch Jugendforschung*, 3. Opladen: Leske und Budrich. S. 25-56.
- დეპერმანი/ლუციუს-ჰონე 2004:** Deppermann, Arnulf/Lucius-Hoene, Gabriele. Narrative Identität und Positionierung. In: *Gesprächsforschung – Online-Zeitschrift zur verbalen Interaktion* 5 (ISSN 1617-1837), (www.gespraechsforschung-ozs.de Stand 15.09.2013). S. 166-183.
- დეპერმანი 2000:** Deppermann, Arnulf. Ethnographische Gesprächsanalyse: Zu Nutzen und Notwendigkeit von Ethnographie für die Konversationsanalyse. *Gesprächsforschung – Online-Zeitschrift zur verbalen Interaktion* 1 (ISSN 1617-1837), (www.gespraechsforschung-ozs.de Stand 15.09.2013). S. 96-124.
- დუნდესი/ლიჩი/ოზკოკი 1972:** Dundes, Alan, Jerry W. Leach / Özkök Bora. The Strategy of Turkish Boys' Verbal Dueling Rhymes. In: *Directions*

- in *Sociolinguistics: The Ethnography of Communication*. Ed. John J. Gumperz and Dell Hymes. New York: Holt, Rinehart, and Winston. P. 130-160.
- ედერი 1990:** Eder, Donna. Serious and Playful Disputes: Variation in Conflict Talk among Early Adolescents. *Conflikt Talk. Sociolinguistic Investigations of Arguments in Conversation*. Hg. Allan Grimshaw. Cambridge: Cambridge University Press. P. 67-84.
- ვაითი 2002:** Veith H. Werner. *Soziolinguistik*. Gunter Narr Verlag Tübingen.
- ზაკსი 1974:** Sacks, Harvey. An Analysis of the Course of a Joke s telling in Conversation. *Explorations in the Ethnography of Speaking*. Hg. Richard Baumann u. Joel Sherzer. Cambridge u.a.: Cambrije University Press. P. 337-353
- ზელტინგი 1998:** Selting, M. Gesprächsanalytisches Transkriptionssystem (GAT). In: *Linguistische Berichte 173*. S. 91-122.
- კალმაიერი 1988:** Kallmeyer, Werner. Konversationsanalytische Beschreibung. *Soziolinguistik*. Hg. Ulrich Ammon, Norbert Dittmar u. Klaus J. Mattheier. Vol. 2 Berlin, new York: Gruyter. S. 1095-1108
- კოტჰოფი 1995:** Kotthoff, Helga. Verbal Duelling in Caucasian Georgia. In: *Uta Quasthoff (ed.): Aspects of Oral Communication*. Berlin/New York: De Gruyter. S. 112-137
- კოტჰოფი 2003:** Kotthoff, Helga. Problemgruppe Jungen? Neue Fragen für die Kinder – und Jugendforschung, Ethnografie der Schule und Gesprächsanalyse. In: *Der Deutschunterricht, Nr. 2*. S. 85-88.
- კოტჰოფი 2008:** Kotthoff, Helga. Konversationelle Verhandlungen des romantischen Marktes. Adoleszente Freundinnen am Telefon. *Freiburger Geschlechterstudien*. Band 22. Freiburg.
- ლაბოვი 1978:** Labov, William. Regeln für rituelle Beschimpfungen. In: *Sprache im sozialen Kontext*. Königstein. S. 2-57.
- ლიპერი 1996:** Leaper, Martin D. Studying Gender Differences in the Conversational Humor of Audults and Children. *Social Interaction, Social Context, and Language*. Hg. Dan Isaac Slobin u.a. Mahwah, HJ: Lawrence Erlbaum Associates. S. 579-596.
- მალც/ბორკერი 1991:** Maltz, Daniel N/Borker, Ruth. Missverständnisse zwischen Männern und Frauen – kulturell betrachtet. Vom fremden Stimmen. In: *Günthner, Susanne/Kotthoff, Helga (Hg)*. Frankfurt a.M. Suhrkamp. S. 52-74.
- მიხალეკი 2006:** Michalek, R. “Also, wir Jungs sind...“. Geschlechtervorstellungen von Grundschulern. Münster, Wachmann.
- მიხალეკი 2008:** Michalek, R. Perspektive der internationalen Jugendforsche-

- hung und Folgerungen für die pädagogische Professionalisierung. Geschlechtervorstellungen von Grundschulern. In: *Der Deutschunterricht*, 60(2008)2, Münster/New York/München/Berlin. S. 86-92.
- ნოილანდი 2006:** Neuland, Eva. Jugendsprachen – Was man über sie und was man an ihnen lernen kann. In: *Eva Neuland (Hg): Variation im heutigen Deutsch: Perspektiven für den Sprachunterricht*. Frankfurt a. M. u.a.: Peter Lang, 2006. S. 223-241.
- ნოილანდი 2008:** Neuland, Eva. Jugendsprache. Tübingen, Narr Francke Attempto Verlag, 2008.
- ნოიმან-ბრაუნი 1998:** Neumann-Braun/Klaus u. Arnulf Doppermann. Ethnographie der Kommunikationskulturen Jugendlicher. *Zeitschrift für Soziologie*. 27.4. S. 239-255.
- ტერტილტი 1996:** Tertilt, H. Turkish Power Boys. Ethnographie einer Jugendbande. Suhrkamp Taschenbuch 2501, Frankfurt.
- ტორნე/ცელა 1986:** Thorne, Barrie / Zella Luri. Sexuality and Gender in Children's daily Worlds. *Social problems* 33. P. 176-190.
- ფინე 1987:** Fine, Gary A. With the Boys. Little League Baseball and Preadolescent Culture. Chicago and London: University of Chicago Press.
- შელდონი 1992:** Sheldon, Amy. Conflict Talk: Sociolinguistic Challenges to Self-Assertion and How Young Girls meet them. *Merill-Palmer Quaterly* 38.1. S. 95-117.
- შლობინსკი 1993:** Schlobinski, P/Kohl, G/Ludewig, I. Jugendsprache. Fiktion und Wirklichkeit. Opladen: Westdeutscher Verlag.
- შმიდტი 2004:** Schmidt, A. Doing peer-group. Die Interaktive Konstitution jugendlicher Gruppenpraxis. Peter Lange. Europäischer Verlag der Wissenschaften. Frankfurt a.M. Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien.
- შპრეკელსი 2006:** Spreckels, J. Britneys, Fritten, Gangschta und wir: Identitätskonstruktion in einer Mädchengruppe. Eine ethnografisch-gesprächsanalytische Untersuchung. Frankfurt am Main, Peter Lang.
- ჰენე 1981:** Henne, Helmut. Jugendsprache und Jugendgespräche. In: *Dialogforschung*. hrsg. v. Peter Schröder u. Hugo Steger, (*Jahrbuch des Instituts für Deutsche Sprache; 1980/ Sprache der Gegenwart, Bd. 54*), Düsseldorf.
- ჰუმესი 1974:** Hymes, D. Foundations in Sociolinguistics: An Ethnographic Approach. Philadelphia: University of Pennsylvania Press.

დანართი

ტრანსკრიპციული ნიშნები [იხ. ზელტინგი 1998]	
(-)	მოკლე პაუზა
(- -)	გრძელი პაუზა
(1.0)	პაუზა 1 წუთზე მეტი
(?was soll das?)	ტექსტის გაუგებარი ნაწილი
(? ?)	წინადადების გაუგებარი ადგილი
..[....	თანადროული საუბარი, საუბრის გაწყვეტა
..[[...]	ორზე მეტი მოსაუბრის თანადროული საუბარი
=	საუბრის გაგრძელება წყვეტის გარეშე
hahaha	ხმამალალი სიცილი
(.h)	ამოსუნთქვა, ჩასუნთქვა
(h)	სიცილის ინტეგრირებული ნაწილაკი
:	ასო-ბგერის გაგრძელება
?	აღმავალი ინტონაცია
.	დაღმავალი ინტონაცია
°blabla°	ჩუმი საუბარი
°°bla°°	ძალიან ჩუმი
↑	ტონალობის აწევა
↓	ტონალობის დაწევა
((liest))	კომენტარი
<((rall))>	შენელებული საუბარი
<((acc))>	აჩქარებული საუბარი

Jocular Verbal Contests within a Group of Georgian Boys

Miranda Gobiani

Ilia State University

1. Relevance of the topic

Linguistic studies of youth language in adolescents are a subject matter of sociolinguistics which, for its part, explores certain social and cultural conditions. This sphere of interest incorporates the following lexical and lexicographical issues and also some pragmalinguistic aspects, such as ways of greeting, supportive reactions to conversations, interjections, etc. The formation of new words and phrases in the vocabulary of youngsters has aroused great interest from the perspective of sociolinguistics to highlight the topicality of social role and age, and the interrelation between gender and language. The pursuit of stylistic elements in the conversation of youths is a new trend in sociolinguistics [Neuland 2008, 23].

The linguistic study of youth language has a thirty-year history in Germany. This paper considers the modality of teenagers' discourse in terms of frivolous communicative activities for the purpose of self-assertion in peer groups. Young people have a craving for self-establishment to keep their position within a peer group. They attempt to build strong communication skills with peers who share age, background and social status. In Georgia, the modality of young people's negotiation is in the initial stage paving the way for future development. The theoretical part of this paper is based on German studies¹; the practical part considers Georgian lingual and empirical material involving the recorded conversations of youths. Specific lingual techniques, new semantic grammatical forms, and various styles and genres of conversation, have been studied to a certain degree in different languages or cultures². As for Georgian space, there has been no fundamental research on these issues. This article deals with the peculiarities of boys' language from the joint pragmalinguistic

1 German authors include Androutsopoulos 1997; Schlobinski 1993; Noland 2003, 2006, 2008; Branner 2003; Shmidt 2004; Kothop 2003, 2005; Shprekel 2006; etc.

2 In 'Turkish Power Boys' [1996], Hermann Tertilt studied in the ethnography and social psychology of Turkish youth groups